**სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

03 ივლ 2025

# გადაწყვეტილება # 882025714076-05 (03.07.2025)

## სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **882025714076** განცხადების მიღების თარიღი: **23.06.2025 14:56**

დაინტერესებული პირი: **შპს ომან ჯგუფი (400169198)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი N 24, სართული 4 , ბინა 31, 01.12.08.016.049**

მომსახურების სახე: **მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება)**

### დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია და დასაზუსტებელია მოთხოვნა რომელი ბრძანებით ითხოვთ პროექტის კორექტირებას.

ამასთან, დამატებით განგიმარტავთ, რომ განაცხადი სხვა გარემოებების და წარმოდგენილი ფართების განაწილების დოკუმენტის ნაწილში განხილული იქნება მხოლოდ მას შემდგომ რაც წარმოდგენილი იქნება ერთმანეთთან შესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

### დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება).

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ N 7515340 ბრძანებით შეთანხმებული შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი დამხმარე ფართის ნაწილში არ შეესაბამება თანდართულ სართულებრივ გეგმებს.

ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ არ არის მითითებული განცხადებაში/გადაწყვეტილებაში, რომ

N7515340 ბრძანებით გსურთ პროექტი კორექტირება.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

**წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.**

---